

# ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

## სხდომის ოქმი N19

თბილისი, 18 მარტი 2024

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- 1. ნინო ქიმერიძე** - გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. მანანა რუსიშვილი** - ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე; ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**
- 3. თეონა ბერიძე** - გერმანული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
- 4. ეკატერინე გაჩეჩილაძე** - ფრანგული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
- 5. ქეთო გალობერი** - ფრანგული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
- 6. მაკა კაჭარავა** - სლავური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სლავური ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
- 7. მარინე აროშიძე** - სლავური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 3 საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
- 8. ანი ჩიქოვანი** - ბერძნული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**

9. **ირინე დარჩია** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
10. **ალექსანდრე ჭულუხაძე** - სპარსული ფილოლოგიის დოქტორი, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი- **საბჭოს წევრი**;
11. **თამარ მოსიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე (უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით) - **საბჭოს წევრი**;
12. **კახაბერ ლორია** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
13. **მარინე გიორგაძე** - კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი- **საბჭოს წევრი**;
14. **მარინე კობეშავიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია-ესპანური ენა; ) - **საბჭოს წევრი**;
15. **მაია ჯავახიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია - იტალიური ენა) - **საბჭოს წევრი**;
16. **ნათია ჩანტლაძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არმენოლოგიის კათედრის გამგე; არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია//სომხური ფილოლოგია) და სადოქტორო (ფილოლოგია//სომხური ფილოლოგია) პროგრამებში არმენოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი) - **საბჭოს წევრი**;
17. **თამარ აფციაური** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
18. **თათია მემარნიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის იაპონური ენის მასწავლებელი - **საბჭოს წევრი**;
19. **ანა გოგუაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის მასწავლებელი - **საბჭოს წევრი**;

- 20. მერაბ ჩუხუა** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არნოდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - **საბჭოს წევრი** ;
- 21. ლელა ებრაღიძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
- 22. ხათუნა ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით - **საბჭოს წევრი**;

**ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის N 1459401 ბრძანებით დამტკიცებული თარგმანმცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები,:**

- **ლელა აბდუშელიშვილი** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
- **ლალი ბერიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი - **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
- **მანანა მათიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოწვეული ლექტორი - **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
- **ეთერ ჭურაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი - **სამუშაო ჯგუფის წევრი**;

საბჭოს სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სამუშაო ჯგუფის შემდეგი წევრი: ხათუნა ბერიძე, რომელიც აგრეთვე არის ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი

**საბჭოს სხდომა დაიწყო 18:10 სთ-ზე.**

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 34 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 22 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივნის, თამარ შიოშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო, მდივნის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრა საბჭოს წევრი, ირინე დარჩია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ქიმერიძემ წარადგინა დღის წესრიგი.

1. თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის პროექტის რედაქტირებულ ვერსიის შესახებ საბჭოს წევრთა საბოლოო შენიშვნებისა და კომენტარების განხილვა;
2. თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხის კენჭისყრა;
3. მსჯელობა ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის განახლების შესახებ, რომელშიც შესაძლოა საჭირო გახდეს ცვლილების შეტანა თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის ცალკე დოკუმენტად ჩამოყალიბების შემდგომ.

### **მოისმინეს**

ცენტრის რედაქტორის მიერ რედაქტირებული თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ საბჭოს წევრის ირინე დარჩიას კომენტარები.

საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს ნინო ქიმერიძემ, ხათუნა ბერიძემ, თამარ მოსიაშვილმა, მერაბ ჩუხუამ, ანა ჩიქოვანმა.

1. პირველი წინადადების მიხედვით, დარგობრივი მახასიათებლის შესავალში არსებულ დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალში ვისთვისაც რეკომენდებულია დოკუმენტის გაცნობა, მოცემულია შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „უცხოელი სტუდენტებისათვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სურთ სწავლა განაგრძონ თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამებზე (უცხოურ ენაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში);“ მისი მოსაზრებით შესაძლებელია, რომ არა მთელი პროგრამა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი იქნას შეთავაზებული უცხოურ ენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირინე დარჩიამ საბჭოს შესთავაზა ფრჩილებში მითითებული ჩანაწერის შემდეგი ფორმულირება: (უცხოურ ენაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/ცალკეული სასწავლო კურსების არსებობის შემთხვევაში).
2. ირინე დარჩიას წინადადებით, დოკუმენტის შესავლის მე-6 აბზაცში მოყვანილ ფორმულირებაში: „დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები,

მიზანშეწონილი სწავლა-სწავლების, კვლევისა და შეფასების მეთოდებთან და რესურსებთან დაკავშირებული ჩანაწერების გარდა, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“. თუ მოიაზრება, რომ არსებობს პუნქტები, რომლებიც სავალდებულო არ არის, აჯობებს გასწორდეს შემდეგი ფორმულირება: ...„სწავლა-სწავლების, კვლევისა და შეფასების მეთოდებთან და რესურსებთან დაკავშირებული ჩანაწერების გარდა, რომელთა შესრულება მიზანშეწონილია“... საბჭოს თავმჯდომარის, ნინო ქიმერიძის აღნიშვნით აჯობებს მკაფიოდ გაიმიჯნოს დარგობრივი მახასიათებლის რომელი პუნქტების შესრულებაა სავალდებულო და რომელი სარეკომენდაციო ხასიათის.

3. წარმოდგენილი წინადადების თანახმად, მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების თავის „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ კომპონენტის 1-ლი პუნქტი:  
„ პროფესიულ საქმიანობასა და კვლევას ახორციელებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, კვლევითი ნაშრომით წვლილი შეაქვს სფეროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განვითარებაში;“ რადგან მსჯელობის საგანია, ყველა ნაშრომი ნამდვილად შეიტანს თუ არა წვლილს სფეროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განვითარებაში, ამიტომ ნაცვლად „და“ კავშირისა აჯობებს გამოყენებულ იქნას „და/ან“.
4. სწავლება, სწავლა შეფასების თავის 1-ელ აბზაცში: „წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიძლება გამოიყენებოდეს.“ მიზანშეწონილია მოდიფიცირდეს ფორმულირება და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიძლება გამოიყენებოდეს.“
5. წარმოდგენილი წინადადების თანახმად მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას სწავლება, სწავლა შეფასების თავის მე-3 და მე-4 აბზაცები:  
„ სწავლა-სწავლების პროცესის შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების ხარისხისა და, ერთიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შედეგების დადგენას.  
საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოლულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (მიმდინარე შეფასება, დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასება) შეფასების სისტემა უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის/უნარიან/კომპეტენციის შეფასების ხარისხს“. რადგან მე-3 აბზაცი იმეორებს დოკუმენტის სხვა მონაკვეთებში განსაზღვრულ მნაარსს, ხოლო მე-4 აბზაცი მოყვანილი შეფასების ფორმები და შეფასების კომპონენტები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით“.

6. ირინე დარჩიას წინადადებით მიზანშეწონილია მოდიფიცირდეს სწვლებისა და სწავლის მეთოდების ჩამონათვალი შეივსოს რეკომენდებული მეთოდები და გასწორდეს კორექტურული ხარვეზები;
7. ქვეთავიდან: „სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება“ მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას შემდეგი წინადადება: „პრაქტიკული კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსების შინაარსს.“ რადგან სამაგისტრო საფეხურზე შესაძლებელია პრაქტიკა კურსებში იყოს ინტეგრირებული, ან დამოუკიდებელი კურსად არსებობდეს.
8. ქვეთავში „ სტუდენტის სამეცნიერო /კვლევითი უნარების განვითარება“ მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას 1-ლი აბზაცი: „თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უძღვის კვლევითი კომპეტენციების განმავითარებელი კურსები.“ და ჩანაცვლდეს ამავე ქვეთავის ბოლო აბზაცით: „სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და/ან პრაქტიკული კურს(ებ)ი, რომლებიც თარგმანმცოდნეობის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტებს.“ რადგან ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია.
9. ქვეთავში „6.1 აკადემიური პერსონალი“ მე-2 აბზაცში არსებულ ფორმულირებაში: „რეკომენდებულია, სფეროს პრაქტიკულ სწავლებას უძღვებოდეს თარგმანის სფეროში პრაქტიკულად მომუშავე, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი.“ სასურველია სიტყვა, „რეკომენდებულია“ ჩანაცვლდეს სიტყვით „სასურველია“ ან „მიზანშეწონილია“ რადგან არაერთგვაროვნად აღიქმება აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ. მერაბ ჩუხუას წინადადებით ფორმულირება „პრაქტიკულად მომუშავე“ მიზანშეწონილია შეიცვალოს ფორმულირებით „პრაქტიკოსი“.
10. ირინე დარჩიას წინადადებით, ქვეთავში „6.4 დასაქმების სფეროები“ ჩამონათვალი ხშირად მეორდება ტერმინი "სექტორი" მიზანშეწონილია ჩანაცვლდეს სხვა ფორმულირებით ასევე შეივსოს დასაქმების სფეროების ჩამონათვალი.

## **დაადგინეს**

1. საბჭომ გაიზიარა ირინე დარჩიას წინადადება.
2. დოკუმენტის შესავლის მე-6 აბზაცში მოყვანილ ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები სავალდებულოა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ხოლო სწავლა-სწავლების, კვლევისა და შეფასების მეთოდებთან და რესურსებთან დაკავშირებული ჩანაწერების შესრულება მიზანშეწონილია.“
3. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
4. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
5. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
6. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება და სწავლებისა და სწავლის მეთოდების ჩამონათვალი ჩამოყალიბდა ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად.
7. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.

8. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
9. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადებები და ჩანაწერი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „*მიზანშეწონილია, სფეროს პრაქტიკულ სწავლებას უძღვებოდეს თარგმანის სფეროში პრაქტიკოსი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი*“.
10. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება და სწავლებისა და სწავლის მეთოდების ჩამონათვალი ჩამოყალიბდა ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად.

### **მოისმინეს**

საბჭოს წევრთა და დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრების წინადადებით დაკორექტირდა დოკუმენტის მე-7 თავში მითითებული მათი რეგალიები, რომლებიც „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ თანახმად, წარმდგენ დაწესებულებაში დაკავებულ თანამდებობასთან ერთად შესაძლებელია მოიცავდეს შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული ასოციაციების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობასთან, პროფესიულ გაერთიანებასთან და შესაბამის სფეროში საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რეგალიებს.

### **დაადგინეს**

7.1 და 7.2 თავებში მითითებული საბჭოს წევრთა რეგალიები ჩამოყალიბდა ამ ოქმის დანართი N1-ში მითითებული ფორმულირებით.

### **მოისმინეს**

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ქიმერიძემ კენჭისყრაზე დააყენა თარგმანმცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი, იმ დათქმით, რომ დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე, ხოლო თარგმანმცოდნეობის სფეროში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები წინამდებარე დოკუმენტთან შესაბამისობაში მოვიდნენ დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში.

კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ თარგმანმცოდნეობის დარგობრივი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრებს და საბჭოს იმ დამსწრე წევრს, რომელიც ამავდროულად იყო დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრი.

### **დაადგინეს**

საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას იმ დათქმით, რომ დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე, ხოლო

თარგმანმცოდნეობის სფეროში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები წინამდებარე დოკუმენტთან შესაბამისობაში მოვიდნენ დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში.

საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N-1-ის შესაბამისად.

**დაადგინეს**

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის გადახედვასთან დაკავშირებით მსჯელობისთვის საბჭო შეიკრიბება თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცების შემდგომ.

**სხდომა დასრულდა 18:45-ზე.**

საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქიქოძე



საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

ირინე დარჩია





**თარგმანმცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი  
უმაღლესი განათლების II საფეხური  
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე**

---

## I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს, და თარგმანმცოდნეობის დეტალური სფეროს სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

იუნესკოს მიერ შემუშავებული განათლების მიმართულებების ჩამონათვალის დეტალური სფეროს განმარტებები ISCED-F 2013-ის მიხედვით და სფეროს მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, თარგმანმცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში თარგმანმცოდნეობის სწავლის სფეროში თარგმანის კულტურათმორისი ურთიერთობების სასპეციალიზაციო მიმართულებით სწავლების გარდა დაემატა შემდეგი სასპეციალიზაციო მიმართულებები: წერიტი თარგმანი (Translation) და ზეპირი თარგმანი (Interpreting), რაც უსდ-ებს აძლევს პროგრამის ფორმატისა და სასპეციალიზაციო მიმართულებების ფართო არჩევანს. თარგმანმცოდნეობის სწავლის სფეროში ზეპირი და წერიტი სასპეციალიზაციო მიმართულებების დამატების სხვა საფუძვლებია: დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (The International Standard Classification of Occupations (ISCO-08), რომელიც ზეპირი და წერიტი მთარგმნელობითი სასპეციალიზაციო მიმართულებების ჯგუფურ ერთეულში (2643) განასხვავებს მთარგმნელებს, თარჯიმნებს და სხვა ლინგვისტებს; ასევე, სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030 რომელშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრულია მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარება.

ქართულ ენაზე ტერმინ „თარგმანმცოდნეობა“ აქვს ორი კონცეპტუალური განზომილება და მოიცავს როგორც წერიტი, ისე ზეპირი თარგმანის მიმართულებებს, ისევე, როგორც ამ მიმართულებებთან დაკავშირებულ კვლევით კომპონენტებს. ინგლისურ ენაზე კვალიფიკაციისა და სფეროს მიმართულებების ეკვივალენტური ცნებაა “Translation and Interpreting Studies.” შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0231.2.2 თარგმანმცოდნეობა Translation Studies“ ინგლისურენოვანი ფორმულირება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „Translation and Interpreting Studies“.

თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით ხელი შეუწყოს თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული (ზეპირი და წერილი მიმართულებების) განვითარებას, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას სწავლების, სწავლისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის დაცვასა და მის კომპეტენტურ გამოყენებას ზეპირი და/ან წერილი თარგმნისას, თარგმანმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული მიღწევების უწყვეტობას, ინტერდისციპლინური კვლევითი უნარების განვითარებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას.

**თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:**

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული პირებისთვის;
- მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის (მათ შორის მაგისტრანტობის უცხოელი კანდიდატებისათვის, უცხოურ ენაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში), რომელთაც სურთ თარგმანმცოდნეობის მიმართულებით სწავლა და სურთ გაეცნონ თარგმანმცოდნეობის დარგობრივ მახასიათებელში გაწერილ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რასაც მაგისტრი შეიძენს.
- დამსაქმებლებისთვის, რომელთაც სურთ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულები არიან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- უცხოელი სტუდენტებისათვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სურთ სწავლა განაგრძონ თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამებზე (უცხოურ ენაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/ცალკეული სასწავლო კურსების არსებობის შემთხვევაში);
- თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირებისთვის.

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები სავალდებულოა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ხოლო სწავლა-სწავლების, კვლევისა და შეფასების მეთოდებთან და რესურსებთან დაკავშირებული ჩანაწერების შესრულება მიზანშეწონილია.

თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს თავისუფალი არჩევანი, თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებისამებრ, უნივერსიტეტის მისიის, პროგრამის პროფილის, საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით და შესაბამისად, თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიაროს სხვა პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები და მიაწოდოს კურსდამთავრებულს შესაბამისი

კვალიფიკაცია. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

თარგმანმცოდნეობა, თავისი არსით, ინტერდისციპლინური სფეროა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ენათმეცნიერებასთან, ლიტერატურათმცოდნეობასთან, კულტურათმშორის ურთიერთობებისა და კულტურის კვლევებთან, ქვეყანათმცოდნეობასთან და ა.შ.

დარგის თეორიული და კვლევითი პარადიგმების გარდა, თარგმანმცოდნეობის სწავლის სფერო მოიცავს გამოყენებით პარადიგმას და უზრუნველყოფს სპეციალისტის მომზადებას თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული მიმართულებებით.

თარგმანმცოდნეობის სწავლის სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ერთი მხრივ, სამიზნე ენებზე/ენებიდან თარგმნის მეთოდების/სტრატეგიების/ხერხების პრაქტიკული სწავლება სხვადასხვა დანიშნულებით ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების გარეშე, რომელიც სფეროს საერთო საბაზისო კომპეტენციაა; მეორე მხრივ, თარგმნის პროცესთან და თარგმანის კვლევასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის დაგროვება და კონკრეტული კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

თარგმანმცოდნეობის მიმართულებებში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს ჩამოთვლილთაგან შერჩეული დარგობრივი კომპეტენცია(ები):

- **თეორიული სწავლებისათვის:** თარგმანმცოდნეობის ზოგადი და კერძო თეორიები, ციფრული ინფორმაციის ლინგვისტური და კულტურული ადაპტირების თეორიები; ტექსტის ადაპტირების სტრატეგიების თეორიული აღწერა და სხვ.
- **პრაქტიკული სწავლებისათვის:** პრაქტიკული თარგმანი, მათ შორის დარგობრივი წერითი, და/ან ზეპირი თარგმანი, თანმიმდევრული და/ან სინქრონული; თარგმანის ლოკალიზაცია; დარგობრივი ტერმინოლოგია; მანქანური თარგმანი და მთარგმნელობითი ტექნოლოგიები; მხატვრული თარგმანი; რედაქტირება; მულტილინგვური სერვისები; კორპუსები და მათი შექმნისა და/ან კვლევითი გამოყენების მეთოდოლოგია, ლაბორატორიული სწავლება; თარგმანისა და ტიტრირების მანქანური პროგრამების გაცნობა-გამოყენება და სხვ;
- **კვლევითი უნარ-ჩვევებისათვის:** თარგმანის კრიტიკა; თარგმანის კორპუსლინგვისტური კვლევები; თარგმანის რეცენზირება; თარგმანის დარგობრივი ტერმინოლოგიის კვლევა; მთარგმნელობითი ფორმატების შესწავლა; აუდიო-ვიზუალური თარგმანის კვლევები და სხვ.

თარგმანმცოდნეობის მიმართულება მოიცავს პროფესიული სტანდარტების, დამსაქმებელთან ურთიერთობისა და მთარგმნელობითი ეთიკის ცოდნას.

მიზანშეწონილია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრონ შესაბამისი უცხოური ენის/ენების C1 დონეზე ცოდნა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე დასაშვებია უცხოური ენის/ენების არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. მაგისტრანტობის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არის მეორე ენა, რეკომენდებულია დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა.

პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება შესაბამის უცხოური ენის არანაკლებ B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენა ან შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება, რომელიც დასტურდება ავტორიზებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან აღნიშნული კომპეტენციის დადასტურება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული გამოცდით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა პროფილის, ანუ სხვადასხვა მიმართულების, სტრუქტურის, მიზნებისა და შინაარსის თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომელიც შეიძლება მეტი აქცენტით იყოს ორიენტირებული სფეროს თეორიული და/ან პრაქტიკული კომპეტენციების დაუფლებაზე თარგმანმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პროფილი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მისიაზე, ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, არსებულ და/ან დაგეგმილ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

ა) თარგმანმცოდნეობის მაგისტრი - Master of Translation and Interpreting Studies

ან

ბ) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში - Master of Arts (MA) in Translation and Interpreting Studies.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა Subject benchmark Statement of Translation and Interpreting Studies.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

### III. სწავლის შედეგები

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამებში შესაძლებელია ინტეგრირებული ან კომბინირებული იყოს პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები, რომელთა საფუძველზე მიიღწევა სწავლის შედეგების მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები.

თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავების საშუალებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია წინამდებარე თავში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან ერთად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვა დამატებითი შედეგებიც განსაზღვროს.

**თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:**

#### ცოდნა და გაცნობიერება

- სისტემურად ჩამოთვლის და განმარტავს თარგმანმცოდნეობის ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით, პოლიტიკურ, ისტორიულ, სოციოლოგიურ, იდეოლოგიურ, კულტურულ და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პარადიგმებსა და განსხვავებებს;
- სისტემურად აღწერს და განმარტავს თარგმანმცოდნეობის დარგის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებასა და მიღწევებს, წყარო და სამიზნე ენების თარგმანის თეორიებს; თარგმანმცოდნეობის სკოლების, სხვადასხვა კულტურის მთარგმნელობითი კრიტიკის მიმდინარეობებს;
- წყარო და სამიზნე ენებისა და მთარგმნელობითი მეთოდების/სტრატეგიების, ენათა ნორმების, სალიტერატურო, დარგობრივი და სასაუბრო ლექსიკის მაღალ დონეზე ცოდნის საფუძველზე ღრმად და დეტალურად განსაზღვრავს ენობრივი ვარიაციის (სოციალურ, გეოგრაფიულ ან ისტორიულ) დანიშნულებასა და სამუშაო ენების შესაბამის გრამატიკულ, ლექსიკურ და იდიომურ სტრუქტურებს;

## უნარი

- შესაბამისი ტექსტოლოგიური და/ან ციფრული რესურსების გამოყენებით დამოუკიდებლად თარგმნის წერითი და/ან წერითი და ზეპირი (თანმიმდევრული ან /და სინქრონული) მოდუსებით, კრიტიკულად ანალიზებს თარგმანს და არგუმენტირებულად აფასებს საკუთარ და სხვის მიერ შესრულებულ თარგმანს და/ან თარგმანის ხარისხს, მთარგმნელობით გადაწყვეტილებებსა და არჩევანს შესაბამისი მეტაენის (ტერმინოლოგიის) გამოყენებით;
- კრიტიკულად ანალიზებს წერით თუ ზეპირ ტექსტს, განსაზღვრავს შემეცნებით სირთულეებს, არჩევს სტრატეგიებს შესაბამისი რეფორმულირებისთვის კომუნიკაციური საჭიროებების შესაბამისად;
- აჯამებს შინაარსს, მიმართავს ადაპტაციასა და შემოკლებას (საჭიროების შემთხვევაში); წერისა და მსჯელობისას ქართულ და შესაბამის უცხოურ ენებზე იყენებს დარგობრივ ტერმინოლოგიას, ცნებებსა და განმარტებებს;
- არედაქტირებს მასალას შესაბამისი მთარგმნელობითი სტრატეგიების გამოყენებით, ენობრივი ნორმებისა და ხარისხის სტანდარტების გათვალისწინებით;
- დამოუკიდებლად გამოარჩევს წერითი თუ ზეპირი ტექსტის კულტურულ ელემენტებს, ღირებულებებსა და მითითებებს; თარგმნის სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ზოგად ან ვიწრო თემატურ მასალას ერთი ან რამდენიმე წყარო ენიდან სამიზნე ენაზე/ენებზე შესაბამისი ჟანრობრივი და რიტორიკული სტანდარტების გათვალისწინებით;
- დანიშნულებისამებრ იყენებს ციფრულ ჰუმანიტარიასთან დაკავშირებულ საინფორმაციო, ენობრივ, მთარგმნელობით პროგრამულ უზრუნველყოფას-ტექნოლოგიურ რესურსებს, აუდიო-ვიზუალურ ტექნოლოგიებს, ლოკალიზაციის ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, კორპუსლინგვისტურ და ტერმინოლოგიურ პლატფორმებს;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით ქმნის სტრუქტურულად მართებულად ჩამოყალიბებულ, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტების შესაბამის კვლევით საკვალიფიკაციო ნაშრომს/პროექტს და წარუდგენს დარგის სპეციალისტებსა და საკითხით დაინტერესებულ არასპეციალისტებს.

## პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- პროფესიულ საქმიანობასა და კვლევას ახორციელებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, კვლევითი ნაშრომით წვლილი შეაქვს სფეროს თეორიული და/ან პრაქტიკული ცოდნის განვითარებაში;
- მუშაობს სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში ინდივიდუალურად და გუნდურად; ითვალისწინებს სამუშაო გარემოს ერგონომიკასა და მულტიკულტურულ სიტუაციას; აქვს დროის მართვის უნარი;
- პატივს სცემს კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას, მონაწილეობს მშობლიური ენის ნორმების, დარგობრივი, სალიტერატურო და სასაუბრო ლექსიკის დაცვისა და განვითარების პროცესში.

## IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/6 ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, თარგმანმცოდნეობის სწავლის სფეროში შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Arts (MA) – Field of study

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში Master of Arts in Translation and Interpreting Studies;

**ან**

ბ) მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study

თარგმანმცოდნეობის მაგისტრი Master of Translation and Interpreting Studies.

მოქმედი პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნულ კვალიფიკაციებს შორის ეროვნულ დონეზე შინაარსობრივი განსხვავებები არ იკვეთება.

## V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიძლება გამოიყენებოდეს.

თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს კვლევაზე და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ღრმა, სისტემურ, ინტენსიურ სასწავლო პროცესს, რომელიც სტუდენტს უვითარებს კვლევითი და პრაქტიკული აქტივობის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარებს, რაც უნდა აისახოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, სწავლების მიზნებთან, შედეგებთან და მეთოდებთან შესაბამისობის პრინციპებს. ცოდნის აღიარების ობიექტურობის, სანდოობის, ვალიდურობისა და



გამჭვირვალობის მიზნით შეფასების წესი შესაძლებელია ითვალისწინებდეს ინდივიდუალურად ლექტორის მიერ, ან კომისიური წესით შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან, შინაარსიდან და სტრუქტურულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის, სწავლებისა და შეფასების ესა თუ ის მეთოდი, ისე სხვა მეთოდები, პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილებისა და ტრადიციის გათვალისწინებით.

#### 4.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები ურთიერთშემავსებელია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა არჩევითად იყენებდეს სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. ქვემოთჩამოთვლილი სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები სარეკომენდაციო ხასიათისაა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გამოიყენოს ქვემოთჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები.

- ლექცია (მათ შორის ინტერაქციული);
- სემინარი;
- მასტერკლას(ებ)ი;
- კვლევითი პროექტ(ებ)ი;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- ერთენოვან და მრავალენოვან კორპუსულ ლექსიკონებზე მუშაობა;
- მულტიმედიაური მასალების გამოყენება;
- დემონსტრირება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება-სწავლა;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD);
- ევრისტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობითი ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დამოუკიდებელი სწავლა (ესეის, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- ზეპირი ან წერილი თარგმანის პრაქტიკუმი;

- რედაქტირების პრაქტიკუმი;
- ლაბორატორიული აუდირება;
- სიმულაციური სწავლება;
- მეტყველების მოსმენა -ანალიზი-თარგმნის სავარჯიშოები;
- მეტყველების წარმართვის ვარჯიშები;
- რიტორიკული სავარჯიშოები;
- აქტიური მოსმენა-გადმოცემის სავარჯიშოები;
- ტერმინოლოგიური სავარჯიშოები;
- როლური/ სიმულაციური/სიტუაციური თამაშები;
- მასწავლებლის უკუკავშირი;
- პროფესიული პრაქტიკა;
- სტაჟირება;
- მასალის დამოუკიდებლად დამუშავება-მოძიება;
- და სხვ.

## 5.2. შეფასების მეთოდები

### სტუდენტის შეფასება: კომპონენტები და მეთოდები

თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

### შეფასების კომპონენტებია:

- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- საშინაო ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- და სხვ.

### შეფასების საშუალებებია:

- თარგმანი (წერიტი და/ან ზეპირი)
- ესე;
- ტესტი;
- დემონსტრირება/ პრეზენტაცია;

- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი;
- თეორიული დავალების შესრულება;
- პრაქტიკული დავალების შესრულება (მათ შორის ბეჭდური და ციფრული რესურსებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით);
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- კვლევითი პროექტი;
- თარგმანის რედაქტირება;
- პრაქტიკის დღიური/ანგარიში;
- საკვალიფიკაციო ნაშრომი;
- თვითშეფასება;
- ურთიერთშეფასება;
- და სხვ.

### 5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკა თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება სხვადასხვა ტიპის წერიტი და ზეპირი თარგმანის შესასრულებლად.

მიზანშეწონილია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, განსაზღვროს პრაქტიკული კომპონენტის მოდელი წერიტი და/ან ზეპირი მთარგმნელობითი კომპეტენციების განვითარებისთვის.

პრაქტიკული კომპონენტი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ კურსებში ჩაშენებული, ისე დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების, სტაჟირების ან სხვა სახით. პრაქტიკის კომპონენტი უნდა ითვალისწინებდეს: საერთაშორისო გამოცდილებას, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, ხედვასა და კონცეფციას, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, სტრუქტურასა და სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო დაწესებულების არსებულ რესურსებს.

### 5.4 სტუდენტის სამეცნიერო /კვლევითი უნარების განვითარება

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და/ან პრაქტიკული კურს(ებ)ი, რომლებიც თარგმანმცოდნეობის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტებს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სამეცნიერო - კვლევითი უნარების განვითარება უნდა ემყარებოდეს სასპეციალიზაციო წერითი და/ან ზეპირი თარგმანის მიმართულებებს.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის ჩამოყალიბება და საფუძვლიანი განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომით/პროექტით (სამაგისტრო ნაშრომით/პროექტით) დადასტურდება.

## VI. დამატებითი ინფორმაცია:

### 6.1 აკადემიური პერსონალი

თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს წერითი, ზეპირი, ან სფეროს ორივე მიმართულებით სწავლებას, რასაც უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პირები, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

მიზანშეწონილია, სფეროს პრაქტიკულ სწავლებას უძღვებოდეს თარგმანის სფეროში პრაქტიკოსი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი.

პერსონალმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილური, ეფექტიანი ფუნქციონირება და შედეგებზე ორიენტირებული ცოდნის გადაცემა, რაც გაზრდის კურსდამთავრებულის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობებს.

### 6.2 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის: თარგმანმცოდნეობა დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლება-სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელია შესაბამისი ტექნოლოგიებითა და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას წერითი და/ან ზეპირი თარგმანმცოდნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი; (მაგ.: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, კომპიუტერული ოთახი, რომელშიც უნდა იყოს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და შესაბამისი

კომპიუტერული უზრუნველყოფა (CAT, MT და სხვ.); მულტიმედია ოთახი, რომელშიც უნდა იყოს მულტიმედია არხები შესაბამისი ენობრივი წყვილებისათვის, მაგ. BBC, NBC და სხვ.; აუდიოვიზუალური ოთახი, რომელშიც უნდა იყოს ენის სწავლებისა და ზეპირ თარგმანზე ორიენტირებული მოწყობილობები, მაგ. დინამიკები, ვიდეო პროექტორები და სხვ.; . სინქრონული თარგმანის ოთახი (ლაბორატორია), რომელშიც უნდა იყოს ISO 2603:2016 ან ISO 4043:2016 შესაბამისი სინქრონული თარგმანის კაბინები ISO 20109:2016 შესაბამისი მყარი კონსოლით, ან სინქრონული თარგმანის ISO 20109:2016 შესაბამისი პორტატიული სისტემები და სხვ.)

2. სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრ(ებ)ი;

3. სასწავლო ლიტერატურის აკადემიური ციფრული კორპუსი და/ან წიგნადი ფონდი - ბიბლიოგრაფიული რესურსები, პროგრამის სასწავლო-მეთოდური მასალა; პროგრამის განსახორციელებლად საჭირო, მუდმივად განახლებადი სასწავლო რესურსები, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, ონლაინ ლექსიკონები, ელექტრონული კორპუსები და სხვა აკადემიური ონლაინ რესურსები, ასევე სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული სხვა პროგრამული ინსტრუმენტები და სხვა.

### 6.3 ინტერნაციონალიზაცია

თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციას, რაც სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას გულისხმობს. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სფეროს ინტერნაციონალიზაციის მიზნები, ამოცანები, მიღწევის გზები, რისკები და მოსალოდნელი შედეგები, რისთვისაც სასურველია:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, კონკურსების, სეზონური სკოლების, სამუშაო შეხვედრების, კონგრესების, სიმპოზიუმების მუშაობაში, საგრანტო პროექტებისა და/ან სხვა კვლევითი და/ან პრაქტიკული პროექტების დაგეგმვა/განხორციელებაში;
- უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები;
- შესაბამისი პროფილის საგრანტო პროექტების შემუშავება და/ან მათში მონაწილეობა;
- და სხვ.

### 6.4 დასაქმების სფეროები

თარგმანმცოდნეობის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო, კერძო, არასამთავრობო და სხვ. სექტორებში, იყოს თვითდასაქმებული. დასაქმების შესაძლო სფეროებია:

სხვადასხვა პროფილის საჯარო ან კერძო დაწესებულებები;

- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- მთარგმნელობითი ორგანიზაციები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საგამომცემლო სექტორი;
- ონლაინ სამუშაო - ვებგვერდების თარგმანი (ლოკალიზება);
- მასმედია;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები;
- სამრეწველო სფერო;
- ლოგისტიკური სფერო;
- ბიზნესის სფერო;
- სხვადასხვა პროფილის მუზეუმები;
- კინოინდუსტრია;
- თეატრი;
- ფესტივალები;
- სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები (კონფერენციები, სემინარები, კონგრესები, სიმპოზიუმები, შეხვედრები და სხვ.);
- სხვადასხვა ფონდი;
- ტურიზმის სფერო;
- და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებები.

## 6.5. სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტები და საერთაშორისო სტანდარტები

თარგმანმცოდნეობის სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისას გათვალისწინებულია სფეროს სწავლების შემდეგი სტანდარტები:

1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015);
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (#688, მიღების თარიღი – 21/12/2004, სარეგისტრაციო კოდი: 430.020.000.05.001.001.626);
3. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ (#3531, მიღების თარიღი – 21/07/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430.050.000.05.001.004.163);
4. ევროპის თარგმანმცოდნეობის მაგისტრის კომპეტენციათა ჩარჩო (EMT Competences Framework). იხ. [https://commission.europa.eu/system/files/2022-11/emt\\_competence\\_fw\\_2022\\_en.pdf](https://commission.europa.eu/system/files/2022-11/emt_competence_fw_2022_en.pdf) 2022;

- International Organization for Standardization, 2016. *Simultaneous interpreting delivery platforms — Requirements and recommendations* (ISO Standard No 24019), nb. <https://www.iso.org/standard/80761.html>;
- PETRA-E framework of reference for the education and training of literary translators, nb. <https://petra-education.eu/download/>;
- International Organization for Standardization, 2015 *Translation services — Requirements for translation services* (ISO Standard No 17100), nb. <https://www.iso.org/standard/59149.html>;
- International Organization for Standardization, 2019. *Translation, interpreting and related technology — Vocabulary* (ISO Standard No 20539), nb. <https://www.iso.org/standard/68293.html>
- International Organization for Standardization, 2017. *Translation services — Post-editing of machine translation output — Requirements* (ISO Standard No 18587), nb. <https://www.iso.org/standard/62970.html>
- International Organization for Standardization, 2012. *Translation projects — General guidance* (ISO Standard No 11669), nb. <https://www.iso.org/standard/50687.html>
- International Organization for Standardization, 2009. *Terminology and other language and content resources -- Specification of data categories and management of a Data Category Registry for language resources* (ISO Standard No 12620), nb. <https://www.iso.org/standard/37243.html>
- ISO 12616-1:2021 Terminology work in support of multilingual communication — Part 1: Fundamentals of translation-oriented terminography;
- ISO 12620-1:2022 Management of terminology resources — Data categories — Part 1: Specifications;
- ISO 12620-2:2022 Management of terminology resources — Data categories — Part 2: Repositories;
- International Organization for Standardization, 1977-2019. *Documentation — Presentation of translations* (ISO Standard No 2384), nb. <https://www.iso.org/standard/7274.html>
- International Organization for Standardization, 2008. *Systems to manage terminology, knowledge and content — TermBase eXchange (TBX)* (ISO Standard No 30042), nb. <https://www.iso.org/standard/45797.html>
- International Organization for Standardization, 2017. *XLIFF (XML Localisation interchange file format)* (ISO Standard No 21720), nb. <https://www.iso.org/standard/71490.html>
- ISO 18841:2018 Interpreting services — General requirements and recommendations;
- International Organization for Standardization, 2016. *Simultaneous interpreting — Equipment — Requirements* (ISO Standard No 20109:2016), nb. <https://www.iso.org/standard/67063.html>;
- International Organization for Standardization, 2020. *Interpreting services — Healthcare interpreting — Requirements and recommendations* (ISO Standard No 21998), nb. <https://www.iso.org/standard/72344.html>;
- International Organization for Standardization, 2019. *Interpreting services — Legal interpreting — Requirements* (ISO Standard No 20228), nb. <https://www.iso.org/standard/67327.html>;
- International Organization for Standardization, 2022. *Interpreting services — Conference interpreting — Requirements and recommendations* (ISO Standard No 23155), nb. <https://www.iso.org/standard/67063.html>;

- (CEFR), C., Levels, T. and Europe, C., *The CEFR Levels*. [online] Common European Framework of Reference for Languages (CEFR). იხ. <https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>, 2001-2022;
- The International Standard Classification of Occupations (ISCO-08), იხ. [https://eqe.ge/res/docs/wcms\\_1725721.pdf](https://eqe.ge/res/docs/wcms_1725721.pdf), 2012-2022.
- სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)- 2021-2030.

## VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

### 7.1. ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით; ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების „გერმანული ფილოლოგია“ კოორდინატორი, აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
2.	თამარ შიოშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
3.	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი



4.	მანანა რუსიეშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე; ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და ანგლისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5.	თეონა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი საქართველოში გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, თარჯიმანი
6.	ლევან ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი
7.	ეკატერინე გაჩეჩილაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე
8.	ქეთო გალობერი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი
9.	მაკა კაჭარავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,

			ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
10.	მარინე აროშიძე	სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, სლავისტიკის მიმართულებით, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი, პრაქტიკოსი მთარგმნელი, თარჯიმანი
11.	ლელია ბახტაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ენების შემსწავლელი ცენტრის ებრაული ენის მასწავლებელი
12.	მამუკა ბუცხრიკიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ებრაისტიკისა და ებრაული ფილოლოგიის მიმართულებით, ებრაისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
13.	მარინე ჩაჩიბაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის გამგე
14.	ელისაბედ ბჟალავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი
15.	ლილე თანდილავა	სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი, თურქოლოგიის საბაკალავრო

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
16.	მარინე ალექსიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი
17.	მარინე გიორგაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი (კლასიკური ფილოლოგია/ბიზანტინოლოგია); ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი; ბიზანტინისტა, პატრისტიკის, შედარებითი ლიტერატურისა და ფრანგული რენესანსის საერთაშორისო ასოციაციების საქართველოს წარმომადგენლობის წევრი; იუნესკოს კათედრის გამგე; სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, მთარგმნელი
18.	ანა ჩიქოვანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მთარგმნელი და თარჯიმანი

19.	თამარ აფციაური	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი
20.	ირინე დარჩია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, მთარგმნელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი
21.	ალექსანდრე ჭულუხაძე	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
22.	თამარ მოსიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე (უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით), პრაქტიკოსი თარჯიმანი
23.	დარეჯან გარდავაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მთარგმნელი
24.	კახაბერ ლორია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
25.	მარინე კობეშავიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია - ესპანური ენა); ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ესპანისტიკა“ ხელმძღვანელი, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი,
26.	მაია ჯავახიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია- იტალიური ენა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „იტალიანისტიკის“ ხელმძღვანელი, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, მთარგმნელი
27.	ნათია ჩანტლაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არმენოლოგიის კათედრის გამგე; არმენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

			ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია/სომხური ფილოლოგია“ არმენოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი, მთარგმნელი
28.	თათია მემარნიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის იაპონური ენის მასწავლებელი, მთარგმნელი
29.	ანა გოგუაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის მასწავლებელი, მთარგმნელი
30.	მერაბ ჩუხუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
31.	ლელა ებრალიძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის კათედრის ასისტენტ პროფესორი, პრაქტიკოსი მთარგმნელი
32.	ხათუნა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით, ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მთარგმნელობითი მოდულის ხელმძღვანელი, თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, მთარგმნელი, სინქრონისტი-თარჯიმანი

33.	თეა ფეტელავა	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი
34.	ქეთევან ტიბუა	გოეთეს ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი	ურთიერთანამშრომლობის კოორდინატორი განათლების სფეროში

7.2. თარგმანმცოდნეობის დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია / დაწესებულება	თანამდებობა
1.	მარინა ბერიძე	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	ფილოლოგიის დოქტორი, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
2.	ლელა აბდუშელიშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მსოფლიო ბანკის სინქრონისტი- თარჯიმანი
3.	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
4.	ლალი ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
5.	მანანა ღარიბაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით
6.	ეკა დუდაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერთანამშრომელი,

7.	ეკატერინე ნავროზაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
8.	ხათუნა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, მთარგმნელი, სინქრონისტი-თარჯიმანი
9.	მანანა მათიაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი
10.	ეთერ ჭურაძე	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	ფილოლოგიის დოქტორი, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მთარგმნელი
11.	ირინა ლობჯანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ენათმეცნიერების მიმართულების პროფესორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და



			უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
--	--	--	---